ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4859562

ნომერი: AR1731598

თარიღი : 31.01.2020

გაცემის თარიღი : 13.02.2020

გაცნობის თარიღი : 13.02.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მიხეილ თამარაშვილის ქუჩა N4ბ; ქალაქი თბილისი, მიხეილ თამარაშვილის ქუჩა N4ბ; ქალაქი თბილისი, მიხეილ თამარაშვილის ქუჩა N4ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯუმბერ ამაშუკელი პ/ნ 01018002954
- თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. კორ. 2 ბ. 31

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, მიხეილ თამარაშვილის ქ. №4ბ-ში, შპს "სპრინგი"-რესტორანი ბეღელის საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადებზე საჩრდილობლის, კარის ღიობის და მოაჯირის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერები საჯარო რეესტრიდან №882019937160 15.11.2019 წ., № 882019885673 07.11.2019 წ., საკადასტრო კოდები №01.14.07.009.010.01.501; №01.14.07.009.010.01.500; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, ესკიზური ნახაზები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა საპროექტო ადგილის მონიშვნით) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, მიხეილ თამარაშვილის ქ. №4ბ-ში, შპს "სპრინგი"-რესტორანი ბეღელის საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადებზე საჩრდილობლის, კარის ღიობის და მოაჯირის მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: იმ შემთხვევაში თუ, განსახორციელებელი სამუშაოები შეეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში კონსტრუქციული ნახაზები.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.